

ნუგბარი მამიკოს გოგოსთვის

ალბათ, საინტერესოა, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ შვილებთან ყველაზე მნიშვნელოვან პირებს ქვეყანაში. მით უმეტეს თუ ეს პირი მეფე გახლდათ და თან თვით ერეკლე მეორე...

წერილში ნათლადაა გამოკვეთილი ერეკლე მეფის დამოკიდებულება: მზრუნველი და ყურადღებიანი მეფე-მამა, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, ყველაზე მეტად ნაბოლარა- ქალიშვილს - თეკლა ბატონიშვილს ანებივრებდა... ქართველებს მრავალი მტკიცებულება მოგვეპოვება ერეკლე მეფის უბადლო მეომრობისა თუ დიპლომატიის შესახებ, ამ წერილში კი იგი- მოსიყვარულე მამის ამკლუაში წარმოჩნდება.

ალბათ, ბევრისთვის საკვირველია ის, რომ წერილის დასაწყისში, ერეკლე მეფე ასულს, თეკლა-ბიჭად მოიხსენიებს.. ამის მიზეზი ის იყო, რომ თეკლა, გარდა იმისა,- რომ საკმაოდ მომხიბვლელი იყო, ვაჟკაცური თვისებებითაც გამოირჩეოდა. უყვარდა ცხენით ჯირითი, მიზანში- სროლა, ნადირობა და ა. შ. ერთხელ ის ცხენიც მოუთვინიერებია, რომელსაც მამაკაცებიც კი ერიდებოდნენ.. სწორედ ამ თვისებების გამო “მონათლა” მეფემ ქალიშვილი თეკლა-ბიჭად...

როგორც ჩანს, ერეკლე მეფის ყურადღება ბრძოლის ველზეც კი მისი ასულისკენ იყო მიმართული, რადგან ცნობილია, რომ მოცემული წერილი ერეკლე მეორემ ლაშქრობიდან მისწერა თეკლა ბატონიშვილს... ალბათ, სწორედ თეკლა ქალი ენატრებოდა მეფეს ყველაზე მეტად ლაშქრობაში ყოფნისას.

ყველასათვის ნათელია ის ფაქტი, რომ იმ დროს ხშირად მდივან-მწიგნობრები წერდნენ მეფის სახელით წერილებსა თუ დოკუმენტებს, თუმცა თეკლასადმი მიწერილი წერილები ავტოგრაფია, ანუ თავად ერეკლე მეფის ხელითაა დაწერილი, ეს კი კიდევ უფრო კარგად მეტყველებს მეფის შვილისადმი დამოკიდებულებაზე... საყვარელი ასულის გასახარად, წერილის ბოლოს მეფეს დაუსვამს ხუთენოვანი სამეფო ბეჭედი.

მაშინ თეკლა სულ რაღაც ხუთი წლის იყო, მაგრამ წერილიდანაც ვასკვნით, რომ უკვე წერა-კითხვა შესანიშნავად იცოდა, ამას მეფის შეფასებიდანაც ვხვდებით, როცა ერეკლე მეორე შვილის წასახალისებლად საქებარ სიტყვებს არ იშურებს... თან ისეთი სიფაქიზითა და რუდუნებით აქვს შერჩეული თითოეული ფრაზა, მის წამკითხველს სამი საუკუნის შემდეგაც გულზე საღებუნად და პირზე ღიმილად მოედება: „თეკლას, მამისა და დედის სიხარულს, მადლი, წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ. შენი სიბრძნით სავსე წერილი მომივიდა. შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მიაგებოდა...“ ან "ჩ ე მ ო შ ი ნ ა გ ა ნ გ უ ლ ს ნ ა თ ე ლ ო თ ე კ ლ ე ვ , შ ე ნ ს ლ მ ა ზ პ ი რ ს კ ო ც ნ ა ს მ ო ვ ა ხ ს ე ნ ე ბ "...

მეფე მოკრძალებულად ცხოვრობდა, თუმცა შვილს საყვარელი ნუგბრით მაინც ანებივრებდა, რაც წერილშიც ჩანს:

” ექვსი კარგი ბროწეული გამოგიზავნია. ხვალ, ღვთით, კიდევ ბევრს შაქრის ყინულს და ნუღლს და შაქარს გამოგიზავნი და თუ ღვთის ნებაც იქნება, ჩვენც წამოვალთ. “- წერს მეფე ნაბოლარა ქალიშვილს..

ეს წერილი სავსეა ემოციებით... მეფე-მამა წრფელი სიყვარულით, მონატრების გრძნობით, იუმორითა და თბილი სიტყვებით მოიკითხავს საყვარელ ქალიშვილს...

უტკბესი გზავნილი, მთელი ცხოვრება რომ გაჰყვება თეკლა ბატონიშვილს სულიერ საზრდოდ, სტრიქონებს შორის გაცხადებული მამაშვილური სიყვარულია! ნაბოლარა ქალს შეჰხარის მეფე-მამა, მისგანვე გაამაყებული, წერილზე დაუფარავი სიხარულით პასუხობს. გაგზავნილ ნუგბარზე უფრორე დამტკბარ სიტყვებს სწერს, სიყოჩაღისკენ აქეზებს და სწავლისათვის აგულიანებს... უნებურად მახსენდება, რომ ამ წერილს ოცდამეერთე საუკუნის შვილი ვკითხულობ, თავადაც მამიკოს ნებიერა გოგო, ვისაც, საბედნიეროდ, ისევე გაუმართლა, როგორც თეკლა ბატონიშვილს! ვკითხულობ იმ დროში და იმ ქვეყანაში, სადაც ჯერაც არსებობს, მასკულანური კულტურა, ქართულ რეალობაში სამსაუკუნოვანი ცვლილებების შემდგომაც აქტუალურია შვილების სქესის მიხედვით დიფერენციაცია, სასურველია ვაჟის უპირატესი ფაქტორი, ხშირად აქცენტირებულია გვარის გამგრძელებლისა და ძე-მემკვიდრის შეძენა-ყოლით გამოწვეული სიხარული! სამწუხაროდ, შერჩევითი აბორტით ვერდაბადებული უთვალავი გოგონაც ჩემი საუკუნის რეალური სტატისტიკაა!!!

მეფე ერეკლესგან მისი უმცროსი ქალიშვილისადმი მიწერილი წერილი -მთავარი ნუგბარია, ეს რამდენიმე წინადადება მარწმუნებს, რომ პროგრესულად მოაზროვნე მამიკოები ყველა დროში არსებობენ, რაც რიგითი მამიკოს გოგოებსაც მეფის ქალად გვაქცევს!

ქალაქ ფოთის თ. დავითაიას სახელობის №1 საჯარო სკოლის

XI ა კლასის მოსწავლე. ნატალია კეკელია. 15 წლის